ხელშეკრულება №138

ქ. თბილისი „12"ოქტომბერი 2018 წ.

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია , შემდგომში წოდებული „შემსყიდველად", წარმოდგენელი ადმინისტრაციის ხელმძღვანელი დიმიტრი სანაკოევის სახით და შპს ,,გურჯაანი+", წარმომადგენელი ლია ყალაბეგაშვილის (პ/ნ 13001004054) სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად'', ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები'', ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის მე–10 მუხლის მესამე პუნქტის „ვ" ქვეპუნქტის(წარმომადგენლობითი ხარჯები) საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშემკრულების საგანია– ადმინისტრაციის ორგანიზებით, 15 ოქტომბრის ღონისძიებასთანდაკავშირებითმოწვეული სტუმრებისგამასპინძლება. სარესტორნო მომსახურება, (cpv-55300000) (შემდგომში –მომსახურება) ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 2325(ორიათასსამასოცდახუთი)ლარი, 40 თეთრი.

2,2 მომსახურების ჯამური ღირებულება განისაზღვრება დანართი #1შესაბამისად

2.3ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა

3.1 ,,მიმწოდებელი მომსახურებას უზრუნველყოფს

3.1 2018 წლის 15ოქტომბერს სარესტორნო მომსახურებას60პერსონაზე დანართი#1–ის შესაბამისად.

გურჯაანი, ახტალის ქ.12

3.2 ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2018 წლის 20 ნოემბრამდე.

4. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი (მომსახურება) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 მიღება–ჩაბარებარების აქტზე ხელმოწერის უფლებამოსილება ენიჭება სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოადგილეს გიული ჩოხელს.

5.ანგარიშსწორება

5.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში

5.2შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ღირებულება,სრულად შესრულებული მომსახურების შესაბამისად, მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ანაზღაურებისათვის საჭირო დოკუმენტაციის საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 10(ათი) კალენდარული დღის განმავლობაში.

6.მხარეთა უფლება–მოვალეობანი

6.1 ''შემსყიდველი'' უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს ''მიმწოდებლის'' მიერ ნაკისრ ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

6.2 შემსყიდველი'' ვალდებულია უზრუნველყოს ''მიმწოდებლის'' შესყიდვის ობიექტის მიწოდების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

6.3 ,,მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობრბის დაცვით

6.4. ,,მიმწოდებელი'' ვალდებულია შესყიდვის ობიექტი მიაწოდოს სათანადო ხარისხითა და გარანტიით და სრული მოცულობით ზემოთაღნიშნული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად

6.5 თითოეული მხარე ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები

7ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ჩაატაროს ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი (ინსპექტირება), რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელების დროს.

7.2 ინსპექტირებას განახორციელებს''შემსყიდველის'' მიერ შესაბამისად განსაზღვრული პირი სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის კულტურისა და სპორტის სამსახურის უფროსის მოადგილე გიული ჩოხელი.

7.3 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების შესრულების ნებიმიერ ეტაპზე.

7.4 ინსპექტირების შედეგად ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფრხვევასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება ''მიმწოდებელს'' საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1 ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვან შესრულების ემთხვევაში მხარეებს ეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების 0,5%–ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ანთავისუფლებს მხარე ძირითადი ვალდებულების შესრულებისგან.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარე წააწყდება რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომლთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყონებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობისა და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყოპბინების მიმღებმა მხარემ 5(ხუთი) დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცხვლილებების შეტანის (შეთანხმების გზით).

10. ხელშეკრულბეაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები"შემსყიდველისათვის", გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულებების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველსო კანონმდებლობით დადგენილი წესით

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია 10% მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულებების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოთ მეორე მხარეს.

10.5ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე.

11.ფორს-მაჟორი

11.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზგვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხიმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორს-მაჟორის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვეაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე ფორს-მაჟორული მდგომარეობის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი

დადგომის ან / და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაბამისი მხარე არ გატავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორს-მაჟორული მდგომარეობის მოქმედების დასრულების თანავე.

12.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრლი ყველა უთანხმოება და დავა გადაიჭრება ურთიერთ შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. სხვა პირობები

13.1 ხელშეკრულება და მასთან დაკავშირებული ყველა მოლაპარაკებები და სხვა დოკუმენტაცია, რომლებიც გაიცვლება მხარეთა შორის ფორმდება ქართულ ენაზე 3 თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად , რომელთაგან ორი ეგზემპლარი გადაეცემა შემსყიდველს , ხოლო ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს.

შემსყიდველი:	მიმწოდებელი:
სამხრეთ ოსეთისადმინისტრაცია	შპს ,,გურჯაანი+“
მის. ქ. თბილისი, ქავთარაძის ჩიხი #1მის.	ქ. გურჯაანი, ახტალის ქ. 12
ტელ: 832 99 89 90	ს/კ: 227721711
ტელ: 0 353 22 21 02	
598 616 333	
საქართველოს ბანკი	
სახელმწიფო ხაზინა	
ს/ კ 204 532 434	ბ/კ:BAGAGE22
	ა/ა: GE11BG0000000116866600

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის ადმინისტრატორი
ხელმძღვანელი
დიმიტრი სანაკოევი

ლია ყალაბეგაშვილი

ხელმოწერა: ----------

ხელმოწერა: ----------

სახელმწიფო შესყიდვის №138 ხელშეკრულებასთან დაკავშირებით კონფლიქტის არ არსებობის ცნობა

ზემოთ აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილეებთან ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების მიზნით ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა აღნიშნულ სახელმწიფო შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ'' საქართველოს კანონის მე–8 მუხლით (ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესები) გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

დიმიტრი სანაკოევი----------

დავით მაჩაბელი ----------

#138 ხელშეკრულების დანართი#1

№	გაწეული მომსახურება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ღირებულება ლარი
1.	პური	60	1.00	60.00
2.	ლიმონათი	24	1.50	36.00
3.	ბორჯომი	24	1,50	36.00
4.	წყალი	24	1.00	24.00
5.	ხაჭაპური	12	6.00	72.00
6.	კ/პომიდორის სალათა	12	5.00	60.00
7.	ყველის ასორტი	12	8.00	96.00
8.	წიწილა შემწვარი	12	15.00	180.00
9.	ხაშლამა	12	18.00	216.00
10.	ბადრიჯანი ნიგვზით	12	5.00	60.00
11.	მწვადი	24	9.00	216.00
12	ხბოს ჩაშუშული	12	10.00	120.00
13	ხილის ასორტი	12	6.00	72.00
14	რვინო	40	4.00	160.00
15	ყავა-ჩაი	50	1.00	50.00
16	პური (წასაღებად)	100	1.00	100.00
17	მწვადი (წასაღებად)	50	9.00	450.00
18	წყალი (წასაღებად)	100	1.00	100.00
19	ლუდი (წასაღებად)	2	3.00	6.00
	ღირებულება			2114.00
	დარიცხული % რესტორნის მომსახურება)			211.40
	სულ			2325,40

სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციის
ხელმძღვანელი

დიმიტრი სანაკოევი

ხელმოწერა: ----------

ადმინისტრატორი

ლია ყალაბეგაშვილი

ხელმოწერა: ----------